საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-SECURITY POLICE DEPARTMENT

№ _____ „_____" _____ 20 ℣.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარეს

ბატონ **ტატო ურჯუმელაშვილს**

ბატონო ტატო,

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომრის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე–5 მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკონკურსო განცხადებას, ქ. გორში, სუხიაშვილის ქუჩა №63-ში, საქართველოს შსს ს.ს.ი.პ.– დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ასაშენებლად, საინჟინრო–საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, კონკურსის გამოცხადების შესახებ.

გთხოვთ თქვენს განკარგულებას განცხადების ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

დანართი: განცხადება „ 18 " ფურცლად;

პატივისცემით,

თავმჯდომარის მოადგილე პაატა ზურებიანი

0031,საქართველო, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11კმ, ტელ: 2 96 63 16, (ფაქსი) 251 74 97, www.125.ge
0031, GEORGIA, TBILISI, DAVID AGMASHENEBELI ALLEY 11-TH KM, TEL: 2 96 63 16, (FAX) 2 51 74 97, www.125.ge

შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

განცხადება

კონკურსის მეშვეობით საინჟინრო-საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

2011

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. საკონკურსო განცხადება.....3

2. ტექნიკური დავალება , დანართი №1…….....6

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი, დანართი №2.....7

საკონკურსო განცხადება შედგენილია "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

საკონკურსო განცხადება

1.შსს ს.ს.ი.პ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია ქალაქ გორში, სუხიაშვილის ქუჩა №63-ში, მდებარე, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების, 1513.00 კვ.მ ფართობზე, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 66.45.08.112), მოაღნაგე: საქართველოს შსს ს.ს.ი.პ.-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ასაშენებლად საუკეთესო პროექტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3.საკონკურსო შესყიდვის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს **8500 (რვა ათას ხუთსი) ლარს, დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით.** წინადადების ფასში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა გაწეული ხარჯი და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი. ხარჯი და გადასახადი რომელიც არ იქნება გათვალისწინებული წინადადების ფასში არ ანაზღაურდება.

3.1 დაფინანსების წყარო - შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2012 წლის საკუთარი სახსრები;

4. კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირი, საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: (**http://procurement.gov.ge/index.php?langid=GEO&secid=39**).

5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში, რომელსაც წარმოადგენს პრეტენდენტი, დაულუქავ მდგომარეობაში მითითებული უნდა იყოს:
   - გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
   - შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   - კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   - საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-4 ან მე-5 პუნქტის დარღვევით ან საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7.წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

შენიშვნა: დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

9. **საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2012 წლის 07 მაისის 11:00 საათზე და მთავრდება ამავე დღის 18:00 საათზე.**

10. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება, უნდა წარმოადგინონ **2012 წლის 07 მაისის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი 0158 დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. შსს ს.ს.ი.პ. - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი. ოთახი №407.**
11. ვადის გადაცილებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.
12. **ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში,** საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე.
13. კონკურსანტის მიერ **დალუქულ მდგომარეობაში,** წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, ერთ ეგზემპლარად უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:
    - ➢ პრეტენდენტის რეკვიზიტებს, მათ შორის:
    - • პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
    - • ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
    - • პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
    - • საინდეფიკაციო კოდი:
    - • პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:
    - • მომსახურე ბანკის დასახელება და კოდი:
    - • ანგარიშსწორების ანგარიში
    - • ელექტრონული მისამართი:
    - ➢ სატენდერო ფურცელი ავტორის ან ავტორთა ჯგუფის ხელმოწერით და დამოწმებული ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
    - ➢ საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ-ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში;
    - ➢ გასაწევი მომსახურების შესახებ განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს პროექტის დახასიათება;
    - ➢ გენერალური გეგმა (შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობით);
    - ➢ შენობის გენერალური გეგმა;
    - ➢ I-II სართულების გეგმა. შენობის ყველა ფასადი მ 1:100;
    - ➢ მაღალი ხარისხის ფოტო მონტაჟი და რენდერები (ვიზუალიზაცია) (მოსაპირკეთებელი მასალების მითითებით);
    - ➢ კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ასაშენებელი ობიექტის (შენობის და ტერიტორიის) დიზაინერული გადაწყვეტა;
    - ➢ ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ;
    - ➢ ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;
    - ➢ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირების რეესტრიდან, რომელიც გაცემული უნა იყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნებიდან მისი მიღების ვადის პერიოდის გათვალისწინებით;

შენიშვნა: ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი და ინფორმაცია უნდა იყოს ხელმოწერილი და დამოწმებული ბეჭდით.

14. მე-13 პუნქტში მითითებული საპროექტო დოკუმენტაციის ორი ეგზემპლარი უნდა იყოს ნაბეჭდი A3 ფორმატში, ხოლო ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი - PDF ფორმატში.

15. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
16. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (8500 ლარი) არ განიხილება.
17. **საკონკურსო წინადაადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:**

✓ შენობის არქიტექტურული გადაწყვეტა, კომპაქტურად და ზონალურად სწორი შიდა დაგეგმარება, პრაქტიკული გამოყენებისა და ორიგინალური იდეის თვალსაზრისით: კოეფიციენტი – 0,5;
✓ საკონკურსო წინადადების ღირებულება: კოეფიციენტი – 0,3;
✓ კონკურსანტის გამოცდილება- 0,2.

- ✓ შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.
- ✓ კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ შეფასების შედეგად, მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

17.1 **კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება 2012 წლის 10 მაისს 15:00 საათამდე**, რის თაობაზეც წერილობით ეცნობებათ დაინტერესებულ პირებს;

17.2 კონკურსში გამარჯვებულ მომწოდებელთან გაფორმდება ხელშეკრულება არაუგვიანეს შვიდი სამუშაო დღისა;

18. **გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს საპროექტო სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაცია სრული მოცულობით ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვეში:**

18.1 **პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა ნორმას და წესს და უნდა შეიცავდეს:**

- ✓ **არქიტექტურული ნაწილი:** ა). არქიტექტორული პროექტი. გენერალური გეგმა მასშ 1:300; I-II სართულის გეგმები; სახურავის გეგმა; I-I სართულის იატაკის გეგმები; ჭერების გეგმა; ფასადები; ჭრილები; კარ-ფანჯრების სპეციფიკაცია; გადახურვის მოწყობის გეგმა(ინტერიერის და ექსტერიერის); ბ) მუშა პროექტი; ფოტორენდერები და ფოტო მონტაჟი;
- ✓ **კონსტრუქციული ნაწილი;**
- ✓ **კიბეები**
- ✓ შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე კეთილმოწყობა ტოპოგრაფიულ რუქაზე დატანილი მ1:500 (ტერიტორიის ფართი 1513.00 კვ. მ.);
- ✓ **საინჟინრო ნაწილი:** ა) ელექტრომომარაგების პროექტილ; მუშა ნახაზები სართულების მიხედვით: (შიდა ელექტრომომარაგება, განათება); ბ)შიდა წყალმომარაგება-კანალიზაციის პროექტი; გ) გათბობა– გაგრილება- ვენტილაცია-კონდიცირება
- ✓ სუსტი დენები; სატელევიზიო ქსელები, სახანძრო სიგნალიზაცია
- ✓ შენობის ფასადური ნაწილის განათების დიზაინი და სქემა;
- ✓ შიდა ინტერიერი (გამოყენებული მოსაპირკეთებელი მასალების დახასიათება);
- ✓ **მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი** (კალენდარული გრაფიკით);
- ✓ **სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.** საორიენტაციო სამუშაოთა მოცულობები; ნაკრები სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება;

19.შემსყიდველი იტოვებს უფლებას მომწოდებელთან შეთანხმებით, შეიტანოს წინადადებები, კორექტივები და ცვლილებები საპროექტო დოკუმენტაციაში.

20.საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ოთხ ეგზემპლარად, აგრეთვე ელექტრონული ვერსიის ArchiCAD-ის ან AutoCAD-ის პროგრამაში და პროექტის შემადგენელი თითოეული დოკუმენტი PDF ფაილის ფორმატში. ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ-ს.

21.საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

22.საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისგან: **რევაზ სიხარულიძე**, ტელ: 241 92-98; 251-75-06; 877 603-888; 877 410-276; ელ-ფოსტა: **rezosikharulidze@gmail.com**, დავით სიგუა; ტელ: 577 607-777 მის: დავით აღმაშენებლის მე-11 კმ;შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტი. 0031, ოთახი 407; საქართველო, თბილისი.

დანართი #1

ტექნიკური დავალება

დასაპროექტებელი შენობის მდებარეობა:
ქალაქი გორი, სუხიაშვილის ქუჩა №63-ში, მდებარე, 1513კვ.მ მიწის ფართობი; გორის მუნიციპალიტეტი. მოაღნაგე: საქართველოს შსს ს.ს.ი.პ.-დაცვის პოლიციის დეპარტამენტი
დასაპროექტებელი შენობის აღწერილობა:
შენობა უნდა დაპროექტდეს ორსართულიანი, ფასადით სუხიაშვილის ქუჩის მხარეს; კაპიტალური ნაგებობა, სართულთაშორისი გადახურვა მონოლითური, მანსარდის გარეშე, თუნუქის გადახურვით; I სართულის გეგმა ზომებით 12.20 X 24.95 მ; II სართულის გეგმა ზომებით 12.301 X 25.015 მ

დასაპროექტებელი შენობის აღწერილობა:
• შენობა უნდა დაპროექტდეს ორსართულიანი,. მასში განთავსებული უნდა იყოს:
პირველი სართული: +0,00 ნიშნული;
საიარაღო (საბრძოლო იარაღი და აღჭურვილობა) ოთახი, ფართობი არანაკლებ- 5.5მ^2 ფარგლებში. სასაწყობო (საკუჭნაო) სათავსო, არანაკლებ-12,95 მ^2 –დე; დამოუკიდებელი სან. კვანძი. (პირსაბანი და ტუალეტი)- 3 მ^2-დე;
ჰოლი (-48,5 მ^2); კიბის უჯრედი მეორე სართულზე ასასვლელი.

მეორე სართული: ცენტრალურ ნაწილში კიბის უჯრედი გასასვლელით აივანზე. აივანი 12,6 მ^2; სასამსახურო ბლოკი №1, ფართით 21,55 მ^2 დამოუკიდებელი შესასვლელი სასამსახურო ფართში; ბლოკს უნდა გააჩნდეს ორი დამოუკიდებელი საშხაპე თითოეული 2.8 მ^2; ორი დამოუკიდებელი სველი წერტილი- თითოეული 1.9 მ^2 და პერსონალის მოსასვენებელი ოთახი 12,3 მ^2;
ამავე სართულზე განთავსდება:
1.ტექნიკური სათავსო 8მ^2; 2. სამზარეულო-11,9მ^2; კანცელარია-7,35მ^2 მომიჯნავე არქივის სათავსოთი-3,35მ^2; სასამსახურო ოთახები: ა) ფართით 53,87მ^2; ბ) ფართით 11მ^2; გ) ფართით 13,6მ^2+ სველი წერთილი3.0მ^2 + მოსასვენებელი 9,6მ^2; დ) ფართით 29.9მ^2; ე) ფართით 11,31 მ^2; ვ) ფართით 23,2მ^2;
სართული უნდა იყოს დერეფნით კიბის უჯრედის გასწვრივ საერთო ფართით 58,6 მ^2:

- კონკურსში გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა პროექტის განხორციელების პროცესში (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება სამსახურებრივი სპეციფიკის გათვალისწინებით წამოჭრილი, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტურობის დადასტურება)

- საავტორო ზედამხედველობის განხორციელების ვადა – სამუშაოების მიმდინარეობის მთელი პერიოდი.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 04/713/00

ქ. თბილისი " " 2011 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კილომეტრი; **ს/კ№211350928; ს/ს „ლიბერთი ბანკი" ც/ფ; ბანკის კოდი: №LBRTG22; ა/ა № 850121158008584000**), წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის მ/შ, თავმჯდომარის მოადგილით **მიხეილ ახვლედიანით** (შემდგომში „შემსყიდველი") და - ---------- (შემდგომში „მიმწოდებელი") მიღწეული ურთიერთშეთანხმების, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

შემსყიდველმა გამოაცხადა № ---------- კონკურსი **71300000 - საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და მიიღო მიმწოდებლისაგან წინადადება – 00000 (----------) ლარის ღირებულების მომსახურების მოწოდებაზე.**

ხელშეკრულების საერთო პირობები

ხელშეკრულების საერთო პირობები წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. ისინი ატარებენ ტიპიურ ხასიათს და უნდა იქნან გამოყენებული ყოველგვარი ცვლილებების გარეშე იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს შეესაბამება კონკრეტულ შესყიდვას.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მიღებულ სტანდარტებს.

3. საპატენტო უფლებები

3.1 საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ჩატარებულ სამუშაოების ხარისხსა და ვარგისიანობაზე, და/ან გამოცადონ გამოყენებული მასალები, საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან. ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში და/ან ტექნიკურ პირობებში უნდა იყოს მითითება თუ რა სახის შემოწმებები და გამოცდები სჭირდება შემსყიდველს და ასევე სად უნდა გაიმართოს ისინი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

5. სამუშაოების შესრულების პირობები

5.1 სამუშაოების შესრულება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ, სამუშაოების შესრულების გრაფიკის შესაბამისად. დეტალური ინფორმაცია **მომსახურების** მოწოდების და მასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების გამიჯვნის შესახებ მოყვნილია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

5.2 დოკუმენტები, რომლებიც წარმოდგენილ უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულების ასანაზღაურებლად მითითებულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

6. დაზღვევა *(ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)*

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები (ცალკეული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება, მიმწოდებლის და/ან სუბ-კონტრაქტორის პერსონალი და სხვა) ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

7. თანმდევი მომსახურება

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით გათვალისწინებული თანმდევი მომსახურება, თუკი იგი დაკავშირებულია შესყიდვის ობიექტის შემდგომ ექსპლუატაციასთან.

7.2 თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

8.2 შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების ადგილი, პირობები, ეტაპები და წესი აისახება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

8.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

8.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

9. გარანტია

9.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

9.2 ამ გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით.

9.3 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს ხარვეზით შესრულებული სამუშაოები ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

9.4 გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

10. ანგარიშსწორება

10.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული ფორმითა და ვადებში მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

10.2 მიმწოდებლის წერილობით მოთხოვნას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული დოკუმენტაცია.

11. ანგარიშსწორების ვალუტა

11.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში *(თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტია).*

11.2 ანგარიშსწორება განხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ საანგარიშსწორებო ვალუტაში მისი ლართან მიმართებაში დაფიქსირებული კურსით.

12. ფასები

12.1 შემსყიდველის მიერ შესრულებული სამუშაოებისა და თანმდევი მომსახურების გაწევის ხელშეკრულებაში მითითებული ფასები არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში, ფასების ცხრილში მითითებულ ფასებს.

12.2 ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ასეთი რამ გათვალისწინებულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

13.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

13.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. უფლებების გადაცემა

14.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

15. სუბკონტრაქტორები

15.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წიანდადებაში.

15.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

15.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

16. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

16.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

16.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

17. ხელშეკრულების შესრულების გარანტია *(ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)*

17.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო. (გარანტირების მექანიზმის გამოყენება სავალდებულოა თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 200.000 ლარს და გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტს და არ უნდა იყოს 2 პროცენტზე ნაკლები). იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომელთა დადგომა გამოიწვევს მიმწოდებლისათვის გარანტიის დაუბრუნებლობას და აღნიშნულ გარემოებათა დადგომის გამო, შემსყიდველისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით, საგარანტიო თანხის გამოყენების წესი განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

17.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

17.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

18. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

18.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

18.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

19. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

19.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

19.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

19.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

19.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

20. დაუძლეველი ძალა(ფორს-მაჟორი)

20.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის

დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

20.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

20.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

21. სადაო საკითხების გადაწყვეტა

21.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

21.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

22. გამოყენებული სამართალი

22.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

23. ხელშეკრულების ენა

23.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

24. შეტყობინება

24.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

24.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

25. გადასახადები და დაბეგვრა

25.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

25.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხელშეკრულების დანართის სესაბამისად სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარგებლობაში, ქ. ქობულეთში ვერულიძის ქ. №4-ში მდებარე 477 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის (მასზე დამაგრებული 654 $მ^2$ მიწის ნაკვეთით) შენობის რეკონსტრუქციისათვის საპროექტო მომსახურების შესყიდვა(შემდგომში მომსახურება).
1.2 ხელშეკრულება იდება №------ კონკურსშიგამარჯვებულ პირთან.
1.3 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდია ----------;

2.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 კონტროლს ხელშეკრულებით ურთიერთობებთან დაკავშირებით განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალური რესურსების მართვის განყოფილების ინსპექტირების ჯგუფი. შემოწმების მიზანია მომსახურების გაწევის ვად(ებ)ის, მოცულობისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე კონტროლს შემსყიდველის სახელით განახორციელებს უფლებამოსილი წარმომადგენ (ლები)ელი(

1. ---------- 2. ----------

3.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი(ეტაპი) მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტის) გაფორმების, საგადასახადო ანგარიშფაქტურის და სასაქონლო ზედნადების ხელმოწერის შემდეგ.
4.2 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის)მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შემდეგ გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
4.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შემდეგ დაწუნებული შესყიდვის ობიექტის შესახებ წუნდების მიზეზების მითითებით.
4.4 მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურება უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს საქართველოში დადგენილ სტანდარტებს.
4.5 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უნაკლოდ შესრულებული შესყიდვის ობიექტი.
4.3 სამუშაოების შესრულებისას ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს იგი გონივრულ ვადაში მაგრამ არა უმეტეს 10 კალენდარულ დღეში.

4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1 შესყიდვის ღირებულებაა <u>00000 (ნული)</u> ლარი, რომელიც დამატებული ღირებულების გადასახადს არ შეიცავს.
4.2 ანგარიშსწორება უნაღდო. ფორმა –სტანდარტული. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების შესაბამისი ღირებულება კანონმდებლობის შესაბამისად, ანაზღაურების საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15

თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში, ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-4 მუხლის მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

4.4 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4.5 ანგარიშსწორება ხორციელდება სსიპ-დაცვის პოლიციის საკუთარი სახსრებით.

4.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული **სამუშაოები უნდა დასრულდეს** ----------

5. ფასები

ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის გაზრდა დაუშვებელია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.

7. მხარეთა უფლება –მოვალეობანი და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას:

7.1.1მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი **სრული მოცულობით, ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ თვის ვადაში 2012 წლის ---------- მდე.** ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.1.2. შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულებები პირადად და არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ გადასცეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მესამე პირ(ებ)ს.
7.1.2 მიმწოდებლის მიერ ანაზღაურებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაში უნდა იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტთან მიმართებაში.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:

7.2.1 სრულად აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

7.2.2 შეამოწმოს მიღებული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით დადგენილ ხარისხთან და მოთხოვნებთან.

7.2.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, განაცხადოს პრეტენზია გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით, თუიგი არ შეესაბამება ხელშეკრულებით დადგენილ მოთხოვნებს.

7.2.4 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებით ან შეუსრულებლობიტ მიყენებული ზიანის ანაზრაურება.

7.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია, საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი მომსახურების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

7.6 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოახდინოს მიმწოდებლის დაჯარიმება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის საფუძველზე.

8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, წინამდებარე ხელშეკრულების

უზრუნველსაყოფად გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე – სადაზღვევო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 %-ის ოდენობით.

8.2. ხელშეკრულების უზრუნველყოფის **გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2012 წლის ---------- ჩათვლით.**

8.3. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო.

8.4. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს დაუბრუნოს გარანტია შემდეგ შემთხვევებში:

ა) გარანტიის მოქმედების ვადის გასვლისთანავე;

ბ) მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას;

გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისას;

10. დაუძლეველი ძალა(ფორს-მაჟორი)

10.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ველდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი, გარდა 10.3 პუნქტისა.

10.2 ამ მუხლის მიზნებისთვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ მიმწოდებელი შემსყიდველის მხრიდან არ მიიღებს წერილობით პასუხს, იგი აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

11.2შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

11.3შემსყიდველი ხელშეკრულების სრული ან ცალკეული შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მიმწოდებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1.არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულებაში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

12.2.თუ რაიმე წინასწარი გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულებების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაციის შესახებ;

12.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

12.4. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა, რაც წინამდებარე ხელშეკრულებას;

12.5.ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია.

12.6.ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არაუგვიანეს 10(ათი) დღისა წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით;

12.7.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

13. დამატებითი პირობები

13.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

13.2. მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას;

13.3.მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

13.4 მხარეებს არ ააქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ მოხდა საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

13.5.კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაივლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის განმჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

13.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ერთი "შემსყიდველთან" და ერთი "მიმწოდებელთან".

13.7. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

14. დავების გადაწყვეტის წესი

14.1შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული კომპონენტის ირგვლივ;

14.2 თუ მოლაპარაკებების დაწყების დღიდან 30 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმების მოგვარებას, მხარეებს შეუძლიათ დადგენილი წესით მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

15. ინტერესთა კონფლიქტი

შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მისი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2011 წლის** -------- **ჩათვლით.**

ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

<u>შემსყიდველი:</u> საქართველოს შ.ს.ს. ს.ს.ი.პ. დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კილომეტრი თავმჯდომარის მოადგილე: ---------- */პაატა ზურებიანი/* ს/კ№ 211350928; ს/ს „ლიბერთი ბანკი" ც/ფ; ბანკის კოდი: № LBRTG22 ა/ა № 850121158008584000	<u>მიმწოდებელი:</u> დირექტორი: ---------- /---------- / ს/კ ---------- მომსახურე ბანკი: სს "---------- " -------- ---------- ფილიალი, ბ/კოდი 000000000; ა/ა 0000000000000;

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 66.45.08.112

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882012107701 - 15/03/2012 12:47:52	21/03/2012 17:46:43

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
გორი	გორი		
66	45	08	112

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 1513.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:

მისამართი: ქალაქი გორი , ქუჩა სუხიშვილი , N 63

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882012064625 , თარიღი 16/02/2012 16:52:10
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 23/02/2012

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მომართვა N775 , დამოწმების თარიღი:16/02/2012 , გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა

მესაკუთრეები:
გორის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი:218065910

მესაკუთრე:	აღწერა:
გორის მუნიციპალიტეტი	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882012107701 თარიღი 15/03/2012 12:47:52	მოაღნაგე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ს.ს.ი.პ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტი 211350928; მესაკუთრე: გორის მუნიციპალიტეტი 218065910; საგანი:მიწის ფართი-1513 კვ.მ; ვადა:99 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 21/03/2012	მილება-ჩაბარების აქტი 14.03.2012წ, აღნაგობის ხელშეკრულება N7, დამოწმების თარიღი15/03/2012, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახური